

შპს ბაგრატი

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

და აუდიტორის დასკვნა

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

და ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის

შპს ბაგრატი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლების ანგარიშგება	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	19
4. ძირითადი საშუალებები	20
5. საინვესტიციო ქონება	21
6. არამატერიალური აქტივები	22
7. მარაგები	22
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	22
9. ფული და ფულის ექვივალენტები	22
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
11. საგადასახადო ვალდებულებები	23
12. ამონაგები	23
13. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	23
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	24
15. რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	24
16. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	24
17. სხვა არასაოპერაციო ხარჯი	25
18. ფუნქციონირებადობა	25
19. ბალანსის შემდგომი მოვლენები	25
20. ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან	25
21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	26

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ბაგრატი-ს მენეჯმენტსა და მესაკუთრეებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩავატარეთ შპს ბაგრატი-ს (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ არ დავსწრებივართ სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციას 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან აღნიშნული თარიღისათვის არ ვიყავით დანიშნულები შესაბამისი პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორებად. შესაბამისი თარიღის მდგომარეობით ვერც სხვა ალტერნატიული პროცედურით მოხერხდა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვება ზემოაღნიშნული ანგარიშის ნაშთების არსებობასთან და სისწორესთან დაკავშირებით.

2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია შესაბამისად 17,314; 26,758 და 42,840 ლარით.

2019 წლის 31 დეკემბერს კომპანიის ძირითადი საშუალებები შეფასებულია მოწვეული შემფასებლის მიერ და აღნიშნული თარიღით კომპანიას ძირითადი საშუალებები აღრიცხული აქვს გადაფასების მოდელით. 2020 წელს შეფასებული უძრავი ძირითადი საშუალებებიდან საინვესტიციო ქონებაზე გადატანილია იჯარით გაცემული ნაწილის პროპორციული ღირებულება. ჩვენ ვერ დავრწმუნდით შეფასებული ღირებულებების სისწორეში და შეფასებაში, რადგან ვთვლით, რომ შემფასებლის დოკუმენტი არ მოიცავს საკმარის და შესაფერის ინფორმაციას შეფასების მეთოდისა და კალკულაციების შესახებ. შესაბამისად ვთვლით რომ შემფასებლის ანგარიში არ არის შესრულებული შეფასების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შესაბამისად 960,509 და 870,290 ლარით.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში საინვესტიციო ქონება წარმოდგენილია 64,401 ლარით.

შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებების განხორციელება წარდგენილ სასაქონლო მატერიალურ მარაგებთან და ძირითად საშუალებებთან მიმართებაში, ასევე ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოს იურისდიქციაში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა გარემოებები

შპს ბაგრატი-ს შესადარისი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებია.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

• მეთვალეურობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიისა და მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი

17 აგვისტო, 2021 წელი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	960,509	870,290	499,476
საინვესტიციო ქონება	5	64,401	-	-
არამატერიალური აქტივები	6	14,025	16,500	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,038,935	886,790	499,476
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	7	17,314	26,757	42,840
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,028,338	544,473	180,451
ფული და ფულის ექვივალენტები	9	137,673	24,240	51,319
სულ მიმდინარე აქტივები		1,183,325	595,470	274,610
სულ აქტივები		2,222,260	1,482,260	774,086
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები				
მესაკუთრეთა კაპიტალი				
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		361,544	361,544	-
საწესდებო კაპიტალი		4,000	36,000	29,000
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		635,285	262,847	78,748
სულ კაპიტალი		1,000,829	660,391	107,748
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	10	1,165,574	782,975	614,318
საგადასახადო ვალდებულებები	11	55,857	38,894	52,020
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,221,431	821,869	666,338
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,222,260	1,482,260	774,086

გიორგი ერემიშვილი
დირექტორი

თამარ ქობულაძე
ფინანსური მენეჯერი

მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	12	19,438,231	14,656,448
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	13	(15,718,940)	(11,906,405)
საერთო მოგება		3,719,291	2,750,043
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(376,920)	(350,355)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	15	(2,618,192)	(2,050,843)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		724,179	348,845
საპროცენტო ხარჯები		(128)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	16	7,870	23,035
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	17	(38,739)	(3,107)
მოგება დაბეგვრამდე		693,182	368,773
მოგების გადასახადი		(48,112)	(20,463)
წმინდა მოგება		645,070	348,310
სხვა სრული შემოსავალი		-	361,544
სულ სრული შემოსავალი		645,070	709,854

გიორგი ერემეიშვილი
დირექტორი

თამარ ქობულაძე
ფინანსური მენეჯერი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	29,000	78,748	-	107,748
კაპიტალის გაზრდა/შემცირება	7,000	-	-	7,000
სულ სრული შემოსავალი	-	348,310	361,544	709,854
დივიდენდის გაცემა	-	(164,211)	-	(164,211)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	36,000	262,847	361,544	660,391
კაპიტალის გაზრდა/შემცირება	(32,000)	-	-	(32,000)
სულ სრული შემოსავალი	-	645,070	-	645,070
დივიდენდის გაცემა	-	(272,632)	-	(272,632)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	4,000	635,285	361,544	1,000,829

გიორგი ერემეიშვილი
დირექტორი

თამარ ქობულაძე
ფინანსური მენეჯერი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	645,070	348,310
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	133,435	78,311
მარაგების გაუფასურება და ჩამოწერა	12,307	-
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	20,986	-
სავაჭრო ვალდებულების ჩამოწერა	(5,560)	-
საპროცენტო ხარჯი	128	-
საოპერაციო მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	806,366	426,621
ცვლილებები მარაგებში	(2,864)	16,083
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(504,851)	(364,022)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	388,159	168,657
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში/აქტივში	16,963	(13,126)
გადახდილი პროცენტი	(128)	-
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	703,645	234,213
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(272,632)	(164,211)
სესხის აღება	13,000	-
სესხის ძირის გადახდა	(13,000)	-
კაპიტალის ზრდა/(კლება)	(32,000)	7,000
ნეტო ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(304,632)	(157,211)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(285,581)	(104,082)
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(285,581)	(104,082)
ფულისა და ფულის ექვივალენტების ნეტო ზრდა	113,432	(27,080)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	24,240	51,319
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	137,673	24,240

გიორგი ერემიშვილი

დირექტორი

თამარ ქობულაძე

ფინანსური მენეჯერი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	960,509	870,290	499,476
საინვესტიციო ქონება	5	64,401	-	-
არამატერიალური აქტივები	6	14,025	16,500	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,038,935	886,790	499,476
მიმდინარე აქტივები				
მარაგები	7	17,314	26,757	42,840
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,028,338	544,473	180,451
ფული და ფულის ექვივალენტები	9	137,673	24,240	51,319
სულ მიმდინარე აქტივები		1,183,325	595,470	274,610
სულ აქტივები		2,222,260	1,482,260	774,086
მესაკუთრეთა კაპიტალი და ვალდებულებები				
მესაკუთრეთა კაპიტალი				
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		361,544	361,544	-
საწესდებო კაპიტალი		4,000	36,000	29,000
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		635,285	262,847	78,748
სულ კაპიტალი		1,000,829	660,391	107,748
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	10	1,165,574	782,975	614,318
საგადასახადო ვალდებულებები	11	55,857	38,894	52,020
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1,221,431	821,869	666,338
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,222,260	1,482,260	774,086


 გიორგი ერეშიშვილი
 დირექტორი


 თამარ ქობულაძე
 ფინანსური მენეჯერი

მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2020	2019
ამონაგები	12	19,438,231	14,656,448
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	13	(15,718,940)	(11,906,405)
საერთო მოგება		3,719,291	2,750,043
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(376,920)	(350,355)
რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები	15	(2,618,192)	(2,050,843)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		724,179	348,845
საპროცენტო ხარჯები		(128)	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	16	7,870	23,035
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	17	(38,739)	(3,107)
მოგება დაბეგვრამდე		693,182	368,773
მოგების გადასახადი		(48,112)	(20,463)
წმინდა მოგება		645,070	348,310
სხვა სრული შემოსავალი		-	361,544
სულ სრული შემოსავალი		645,070	709,854

გიორგი ერეკლეშვილი
დირექტორი

თამარ ქობულაძე
ფინანსური მენეჯერი

შპს ბაგრატი

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	29,000	78,748	-	107,748
კაპიტალის გაზრდა/შემცირება	7,000	-	-	7,000
სულ სრული შემოსავალი	-	348,310	361,544	709,854
დივიდენდის გაცემა	-	(164,211)	-	(164,211)
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	36,000	262,847	361,544	660,391
კაპიტალის გაზრდა/შემცირება	(32,000)	-	-	(32,000)
სულ სრული შემოსავალი	-	645,070	-	645,070
დივიდენდის გაცემა	-	(272,632)	-	(272,632)
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	4,000	635,285	361,544	1,000,829


გიორგი გოგიტიძე
დირექტორი


თამარ კობულაძე
ფინანსური მენეჯერი

შპს ბაგრატი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

	2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
წლის მოგება	645,070	348,310
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	133,435	78,311
მარაგების გაუფასურება და ჩამოწერა	12,307	-
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	20,986	-
სავაჭრო ვალდებულებების ჩამოწერა	(5,560)	-
საპროცენტო ხარჯი	128	-
საოპერაციო მოგება საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე	806,366	426,621
ცვლილებები მარაგებში	(2,864)	16,083
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(504,851)	(364,022)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	388,159	168,657
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში/აქტივში	16,963	(13,126)
გადახდილი პროცენტი	(128)	-
ნეტო ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	703,645	234,213
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
გადახდილი დივიდენდები	(272,632)	(164,211)
სესხის აღება	13,000	-
სესხის ძირის გადახდა	(13,000)	-
კაპიტალის ზრდა/(კლება)	(32,000)	7,000
ნეტო ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(304,632)	(157,211)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(285,581)	(104,082)
ნეტო ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(285,581)	(104,082)
ფულისა და ფულის ექვივალენტების ნეტო ზრდა	113,432	(27,080)
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში	24,240	51,319
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს	137,673	24,240

გიორგი ერემიშვილი
დირექტორი

თამარ ქობულაძე
ფინანსური მენეჯერი

• მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორის დასკვნის დანიშნულება და გამოყენება

აღნიშნული დასკვნის შინაარსი, მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით, შედგენილია კომპანიისა მენეჯმენტისა და დამფუძნებლებისათვის. დამკვეთი უფლებამოსილია შემსრულებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი გამოიყენოს მხოლოდ შემდეგი მიზნებისთვის და არა რომელიმე სხვა მიზნით: საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესაბამისად, 2020 წლის საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებაში, კანონის შესაბამისი სავალდებულო მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში, ატვირთოს აუდიტორის ანგარიში, აუდიტრებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ანგარიშგების პორტალზე www.reportal.ge

აღნიშნული დასკვნის - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - გაცემით, ჩვენ არ ვიღებთ და არც მოვიაზრებთ რაიმე სახის პასუხისმგებლობას აღნიშნული დასკვნის რომელიმე სხვა მიზნით ან რომელიმე სხვა პირის მიერ გამოყენების შემთხვევაში, მათ შორის იმ პირის წინაშე რომლისთვისაც აღნიშნული დასკვნა და მისი შინაარსი - მასში გამოთქმული მოსაზრების ჩათვლით - რაიმე გზით გახდა ხელმისაწვდომი, გარდა იმ შემთხვევისა როდესაც ჩვენს მიერ ასეთი პასუხისმგებლობა ცალსახად და გარკვევით, წინასწარ, წერილობითი ფორმით იყო აღიარებული შესაბამისი პირის წინაშე.

დამოუკიდებელი აუდიტორის ამ დასკვნაში მოცემული აუდიტის შედეგებზე პასუხისმგებელია გარიგების პარტნიორი:

ლევან პაპიაშვილი

რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-387992

შპს კრესტონ პაპიაშვილის სახელით (ფირმის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-342289)

პ. ქავთარაძის 1 შესახვევი #10; სართული 3, ოფისი 4, თბილისი

17 აგვისტო, 2021 წელი

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ბაგრატი“ დაფუძნდა 2010 წლის 18 აგვისტოს. მისი სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება და საიდენტიფიკაციო ნომერია: 412672807.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქუთაისი, აკაკი წერეთლის ქ. №190თ.

შპს ბაგრატი-ს დამფუძნებელია:

გიორგი ქათამაძე (პ/ნ 60001009375) – 100%

კომპანიის დირექტორი და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია:

გიორგი ერემეიშვილი (პ/ნ 60001101037).

საზოგადოების ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს საბითუმო ვაჭრობა რძის პროდუქტებით, სურსათის დისტრიბუცია, საკუთარი უძრავი ქონების გაქირავება,

დარეგისტრირებული ფილიალები არ აქვს.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად და ის წარმოადგენს აღნიშნული სტანდარტით პირველად წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია მუხლში - „კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული მოგება/ (ზარალი)“.

უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2020	31 დეკ 2019	31 დეკ 2018
1 USD/GEL	3.2766	2.8677	2.6766
1 EUR/GEL	4.0233	3.2095	3.0701

ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (და გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ-ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ექვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია გადაფასების მოდელით. გადაფასება გაკეთებულია 2019 წლის 31 დეკემბერს. შეფასების შემდეგ ძირითად საშუალებებს ერიცხებათ ცვეთა იმ წესით, როგორც ქვემოთაა მოცემილი.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება იზრდება, გადაფასების ნამეტი აღირიცხება სხვა სრულ შემოსავალში და კაპიტალში გროვდება გადაფასების რეზერვის მუხლში. მოგებაში ან ზარალში აისახება გადაფასებიდან მიღებული ის ნამეტი თანხა, რომლითაც კომპენსირდება იმავე აქტივთან დაკავშირებით, ადრე მოგებაში ან ზარალში აღიარებული გადაფასებით განპირობებული შემცირების თანხა.

თუ გადაფასების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება, შემცირების თანხა მოგებაში ან ზარალში, სხვა სრულ შემოსავალში გადაფასებიდან მიღებული შემცირების თანხა იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების ნამეტში ამ აქტივთან დაკავშირებით. გადაფასებით განპირობებული შემცირების თანხის ასახვა სხვა სრულ შემოსავალში ამცირებს საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში „გადაფასების ნამეტი“ დაგროვილ თანხას.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან ან შეფასებული ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. მინიჭებული სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი

წლიური ამორტიზაციის ნორმა

შენობა-ნაგებობები	20 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	5 წელი
ავტო და ინვენტარი	5 წელი
მანქანა დანადგარები	5 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობები, ან შენობის ნაწილი, ან ორივე ერთად), რომელსაც ფლობს მესაკუთრე, საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის, ან ორივე მიზნით,

კომპანია საინვესტიციო ქონებას თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით. შეძენილი საინვესტიციო ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები.

საინვესტიციო ქონება, რომლის რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, შეფასებულია რეალური ღირებულებით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, რეალური ღირებულების ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით. ყველა სხვა დანარჩენი საინვესტიციო ქონებას კომპანია აღრიცხავს თვითღირებულების მოდელის გამოყენებით.

თუ რეალური ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება აღარ არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე, კომპანია ამ აქტის აღრიცხავს ძირითადი საშუალებების პოლიტიკის შესაბამისად მანამ, სანამ მისი რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება არ გახდება ისევ შესაძლებელი. საბალანსო ღირებულება, რომელიც საინვესტიციო ქონებას ექნება ზემოაღნიშნული ბოლო თარიღისთვის, გახდება მისი თვითღირებულება. ეს ცვლილება გარემოებების ცვლილებაა და არა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოიანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით.

მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, კომპანია აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასთან დაკავშირებული და სხვა ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა - საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს;

მომსახურების გაწევა - კომპანია ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების არასაოპერაციო ნაწილში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

წინასწარ გადახდილი ხარჯები

წინასწარ გადახდილი ხარჯები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ ან აღნიშნული წინასწარ გადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად.

ძირითადი საშუალებების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ ძირითად საშუალებაზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარ გადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის. საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარდგება შესაბამის მუხლში თავისი შინაარსის მიხედვით.

კომპანია, როგორც მემიჯარე - საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში.

ფინანსური იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარეზე. ფინანსური იჯარის დროს აქტივის და შესაბამისი ვალდებულების საბალანსო თანხა განსაზღვრულია მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულებით, მინიმალური საიჯარო გადასახდელების მიმდინარე ღირებულების გამოანგარიშებისას დისკონტირების ფაქტორის გათვალისწინება ნიშნავს: საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შესაძლებელია, ხოლო თუ მისი დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია - ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას.

ფინანსური იჯარა ფინანსურ ხარჯებთან ერთად წარმოშობს აქტივის ცვეთის ხარჯებს ყოველ საანგარიშგებო პერიოდში. ფინანსური იჯარით აღებული აქტივების მიმართ კომპანიის მიერ გატარებული ცვეთის პოლიტიკა შეესაბამება საკუთარი აქტივების მიმართ გამოყენებული ცვეთის დარიცხვის პოლიტიკას.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან. კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

შპს ბაგრატი

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	შენობა - ნაგებობები	კომპიუტერული ტექნიკა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
საბალანსო ღირებულება								
ისტორიული ღირებულება 31.12.2018	-	391,840	73,774	46,067	9,302	13,966	235,148	770,097
შემოსვლა	-	3,390	13,914	28,123	1,102	339	57,214	104,082
გადაფასების მოდელზე გადასვლა	81,420	13,120	(74,638)	(54,840)	14,716	(14,305)	30,638	(3,889)
გადაფასებული ღირებულება 31.12.2019	81,420	408,350	13,050	19,350	25,120	-	323,000	870,290
შემოსვლა	65,778	-	8,847	9,293	-	950	200,713	285,581
გადატანა საინვესტიციო ქონებაზე	(11,172)	(56,031)	-	-	-	-	-	(67,203)
გადაფასებული ღირებულება 31.12.2020	136,026	352,319	21,897	28,643	25,120	950	523,713	1,088,668
დაგროვილი ცვეთა								
დაგროვილი ცვეთა 31.12.2018	-	(23,294)	(58,332)	(21,674)	(5,920)	(8,859)	(152,542)	(270,621)
ცვეთა	-	(19,592)	(10,019)	(11,022)	(1,864)	(2,291)	(33,523)	(78,311)
გადაფასების მოდელზე გადასვლა	-	42,886	68,351	32,696	7,784	11,150	186,065	348,932
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	-	-	-	-	-	-	-	-
ცვეთა	-	(17,616)	(4,105)	(4,794)	(5,024)	(103)	(96,517)	(128,159)
გასულების დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-
დაგროვილი ცვეთა 31.12.2020	-	(17,616)	(4,105)	(4,794)	(5,024)	(103)	(96,517)	(128,159)
წმინდა საბალანსო ღირებულება								
31.12.2018	-	368,546	15,442	24,393	3,382	5,107	82,606	499,476
31.12.2019	81,420	408,350	13,050	19,350	25,120	-	323,000	870,290
31.12.2020	136,026	334,703	17,792	23,849	20,096	847	427,196	960,509

შენიშვნა 4.1: 10.10.2018-დან შპს ბაგრატი-ს სახელზე რეგისტრირებულ ერთ ავტომობილზე, რომლის ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2020-სთვის შეადგენს 12,000 ლარს, ფიქსირდება უფლებრივი შეზღუდვა, თბილისის სააღსრულებო ბიუროს მიერ.

5. საინვესტიციო ქონება

	მიწა	შენობები	სულ
ნაშთი 31.12.2019	-	-	-
გადმოტანა საინვესტიციო ქონებაზე რეალური ღირებულებით	11,172	56,031	67,203
ნაშთი 31.12.2020	11,172	56,031	67,203
აკუმულირებული ცვეთა			
ნაშთი 31.12.2019	-	-	-
საინვესტიციო ქონების ცვეთა	-	(2,802)	(2,802)
ნაშთი 31.12.2020	-	(2,802)	(2,802)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019			
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	11,172	53,229	64,401

შენიშვნა: 31.12.2019-ში კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შეფასებულია რეალური ღირებულებით პროფესიონალი შემფასებლის მიერ. აღნიშნული ღირებულება დასმულია როგორც ქონების საინვესტიციო ნაწილის საწყისი ღირებულება. ამ თარიღის შემდეგ საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების შეფასება აღარ მომხდარა, რადგან კომპანიის მენეჯმენტი თვლის, რომ აღნიშნულთან დაკავშირებული დანახარჯი მიზანშეუწონელი იქნებოდა კომპანიისთვის, გამომდინარე იქედან, რომ გაიჯარება არ წარმოადგენს კომპანიისთვის ძირითად საქმიანობას. მიმდინარე პერიოდებში საინვესტიციო ქონების აღრიცხვა წარმოებს საწყის ღირებულებაზე (რაც ზემოთ აღნიშნულ თარიღში შემფასებლის მიერ შეფასებულ ღირებულებას წარმოადგენს) ცვეთის დარიცხვით. შენობას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, მომსახურების ვადა შეფასებულია 20 წელი.

6. არამატერიალური აქტივები

ისტორიული ღირებულება	პროგრამები	სულ
ნაშთი 31.12.2018	-	-
გადაფასება	16,500	16,500
ნაშთი 31.12.2019	16,500	16,500
ნაშთი 31.12.2020	16,500	16,500
აკუმულირებული ამორტიზაცია		
ნაშთი 31.12.2018	-	-
ნაშთი 31.12.2019	-	-
ამორტიზაცია 2020	(2,475)	(2,475)
ნაშთი 31.12.2020	(2,475)	(2,475)
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2018	-	-
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2019	16,500	16,500
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2020	14,025	14,025

7. მარაგები

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
სარეალიზაციო საქონელი (რძის პროდუქტები)	22,701	24,613	39,328
გაუფასურებული მარაგი	(12,307)	-	-
სამაცივრე ინვენტარი	4,923	-	-
საწვავი	1,997	2,144	3,512
	17,314	26,757	42,840

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	1,027,638	541,456	177,350
მოთხოვნები საიჯარო მომსახურებიდან	700	3,017	3,101
	1,028,338	544,473	180,451

9. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	277	241	1,644
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	137,396	23,999	49,675
	137,673	24,240	51,319

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2020	31.12.2019	31.12.2018
სავაჭრო ვალდებულება	1,000,664	729,054	529,216
ვალდებულება ავტომობილის შეძენიდან	83,094	11,426	-
ვალდებულებები მარკეტინგული მომსახურებიდან	57,540	35,420	16,780
ვალდებულება პერსონალის წინაშე	-	-	61,528
მიღებული ავანსები	5,338	7,075	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	18,938	-	6,794
	1,165,574	782,975	614,318

11. საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები მოიცავს ყველა გადასახადის წმინდა შედეგს წლის ბოლოს მდგომარეობით და ძირითადად შედგება დამატებული ღირებულების გადასახადის ვალდებულებისგან.

12. ამონაგები

	2020	2019
შემოსავალი რეალიზაციიდან	20,245,793	15,427,962
გაყიდული საქონლის დაბრუნება	(826,557)	(785,558)
შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	7,118	-
შემოსავალი პროდუქციის ჩამოცლის მომსახურებიდან	11,877	14,044
	19,438,231	14,656,448

13. გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება

	2020	2019
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	15,952,505	12,149,598
რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება	(738,781)	(733,611)
ვადაგასული საქონლის ჩამოწერა	505,216	490,418
	15,718,940	11,906,405

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	2019
შრომის ანაზღაურება	208,220	223,517
ცვეთა და ამორტიზაცია	11,669	16,427
საპენსიო ფონდის ხარჯი	4,994	4,057
კომუნიკაციის ხარჯები	10,258	6,989
საკანცელარიო ხარჯები	10,893	9,001
სხვა საგადასახადო ხარჯები	24,730	20,592
დაზღვევის ხარჯები	9,084	6,936
წარმომადგენლობითი ხარჯები	7,700	525
კომუნალური ხარჯი	10,932	11,888
საბანკო ხარჯები	1,830	1,547
ექსპერტიზის ხარჯი	2,000	-
სამეურნეო ხარჯი	74,610	48,876
	376,920	350,355

15. რეალიზაციისა და მიწოდების ხარჯები

	2020	2019
მიწოდების სახელფასო ხარჯი	1,605,096	1,276,430
მარკეტინგული მომსახურება	366,681	174,033
საწვავის ხარჯები	262,095	312,708
ცვეთა და ამორტიზაცია	121,766	61,884
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	111,058	82,389
საიჯარო ქირა	101,695	101,695
მიწოდების ხელფასის საპენსიო ფონდის ხარჯი	28,892	23,169
ავტომომსახურების ხარჯი	20,909	18,535
	2,618,192	2,050,843

16. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	2020	2019
შემოსავალი მარკეტინგული მომსახურებიდან	2,000	21,851
შემოსავალი ვალდებულებების გაუფასურებიდან	5,560	-
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	310	1,184
	7,870	23,035

17. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

	2020	2019
გაუფასურების ხარჯი	33,293	-
საპატრულო ჯარიმები	5,446	3,107
	38,739	3,107

18. ფუნქციონირებადობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე. კომპანიის საქმიანობას ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღიდან მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში საფრთხე არ ემუქრება.

19. ბალანსის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე, შეძენილია ორი სატრანსპორტო საშუალება ჯამურად 36,922 ლარის ღირებულების.

20. ბრუნვები და ნაშთები დაკავშირებულ მხარესთან

მსს ფასს-ის 33-ე განყოფილების მიხედვით, დაკავშირებული მხარე არის

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი, თუ ეს პირი:

არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი სათავოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;

აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულად მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები;

ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საქმიანობა;

ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საქმიანობას;

ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;

ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს (ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;

ეს საწარმო, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს სათავო საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;

(ა) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი.

თითოეულ შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას, საწარმომ უნდა შეაფასოს თავად ურთიერთობის შინაარსი და არა მარტო მისი იურიდიული ფორმა.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებობს შემდეგი ნაშთები და განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	დამფუძ- ნებელი	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვა- ნელობა	სულ
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	10,000	-	10,000
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან				
სრული შემოსავლების ანგარიშგება				
რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	134	45,770	1,690	47,594
მარაგების შეძენა	-	120,358	-	120,358
ხელფასები და სხვა სარგებელი	110,807	-	122,396	233,203
სესხის გაცემა	-	50,000	-	50,000
გაცემული სესხის მიღება	-	50,000	-	50,000
ფინანსური შემოსავალი	-	743	-	743

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებობს შემდეგი ნაშთები და განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან	დამფუძ- ნებელი	სხვა დაკავშ. მხარე	ხელმძღვა- ნელობა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	700	-	700
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-	10,069	-	10,069
ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან				
რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	374	65,914	1,987	68,275
ხელფასები და სხვა სარგებელი	145,000	-	177,942	322,942
სესხის აღება	-	13,000	-	13,000
სესხის დაფარვა	-	13,000	-	13,000
ფინანსური ხარჯი	-	128	-	128

21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შპს ბაგრატი-ს დირექტორმა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2021 წლის 9 აგვისტოს.